№ 178 აგვისტო 19, კვირა 1890 აგვისტო 19, კვირა № 178


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარის სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.



მასწავლებელი ესტატე ასული, ზაქარია დიმიტრის ძე, აბრამ და ალექსი ქრისტეფორეს ძენი ჩიქოვანები, ელისაბედ დიმიტრის ასული გედევანიშვილისა და ნინო დიმიტრის ასული ბერელაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორე მამისას მესამენი, ძმისას და უკანასკნელნიც მამისას, დიმიტრი ქრისტეფორეს ძის ჩიქოვანისას, და სთხოვენ ნაცნობთა და ნათესავთ მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ საკუთარ სახლიდგან წმ. მარინეს ეკკლესიაში 19 აგვისტოს, დილის 9 საათზედ. (2—2)



## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, გარსევანოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება. (18—3)


ტფილისი, 18 აგვისტო

ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გაძლიერებულმა პრუსიამ საფრანგეთი დაამარცხა და ორი საუკეთესო პროვინცია, ელზას-ლოთარენი, წაართვა. არც ერთს ევროპაში ყოფილს ომს ამ საუკუნეში ისეთი დიდი შედეგი არა ჰქონია, როგორც ამ ომს. პრუსია მძლავრ გერმანიის იმპერიად გადიქცა, პირველი ალაგი დაიჭირა ევროპაში და ევროპის გარეშე პოლიტიკას მიმართულებას ის აძლევდა. მისუსტებული საფრანგეთი-კი ჩრდილში დარჩა და დაწყლულებულს იარებს იმთელებდა. გერმანიას იაფად არ დაუჯდა ოდესმე მძლავრის საფრანგეთის დამარცხება. იგი იძულებულ იქმნა ხმლითა და თოფ-იარაღით დაემკვიდრებინა პირველი ალაგი, რომელიც ომს შემდეგ მოიპოვა. გერმანიამ კარგად იცოდა, რა ძალის პატრონიც არის საფრანგეთი, რა ხალხიც არის ფრანგობა, კარგად იცოდა, რომ საფრანგეთი თუ დაამარცხა, ამ საქმეში ბევრმა შემთხვევითმა გარემოებამ შეუწყო ხელი. ამ დროს საფრანგეთი დასუსტებული იყო ნაპოლეონ მესამის შინაურის მმართველობით, ჯარის მეთაურობა უზნეო და მხდალ გენერლებს ებარათ. უეჭველია, ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გასტანდა და რაკი-ღა ამ სენს თავიდგან აიცილებდა საფრანგეთი, ანგარიშს მოსთხოვდა გერმანიას. ყოველს წამს, ყოველ ჟამს ამ ანგარიშის გასწორებისა ეფიქრებოდა გერმანიას და რაკი-ღა განკითხვის დღეს მოელოდა, სულ იმის ზრუნვაში იყო, ისე გაეძლიერებინა ჯარი, რომ მკვდრეთიდგან აღდგენილსა და წელში გამართულს საფრანგეთს ვერა დაეკლო-რა. აი აქ ეძლევა დასაწყისი მილიტარიზმს.

ამ ათის წლის წინად გერმანია შეფიქრიანდა, ვაი თუ საკუთარის ძალ-ღონით ვერ გავუმკლავდე საფრანგეთსაო, რადგან, ცოტა არ იყოს, აღმოსავლეთიდგან რუსეთისაც ეშინოდა და გაფაციცებით დაუწყო ძებნა მეგობრებსა და მომხრეებს. უთვალავად შემძლებელმა თ. ბისმარკმა ესეც ადვილად მოახერხა და ავსტრი-ვენგრია და იტალია მიიმხრო. ეხლა, როგორც გაზეთებში კანტი-კუნტად ხმა დადის, გერმანიის ახალგაზდა იმპერატორს ინგლისიც ჩაუთრევია სამთა კავშირში, თუმცა ბევრნი ამ ხმას უარ-ჰყოფენ. მართალია, ასე ალჩუს უჯდება კოჭი გერმანიას, მართალია, ჯერ პირველობა ხელიდგან არ გამოსცლია, მაგრამ აუარებელმა სამხედრო ხარჯმა ლამის გერმანია და იმისი ერთგული ძველი მოკავშირენი სახრჩობელაზედ მიიყვანოს. ამ გვარმა სამწუხარო საფინანსო მდგომარეობამ დიდად დაალონა და დააფიქრიანა გერმანიის ნამდვილი მამულიშვილნი და ეხლა იმის ზრუნვაში არიან, რომ ავიცილოთ როგორმე თავიდგან მერმისში მწარე ბედი, ე. ი. სახელმწიფოს გაკოტრებაო.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, უმთავრესი მიზეზი ამ გვარის არანორმალურის მდგომარეობისა, რომელიც ძირს უთხრის ევროპის კეთილდღეობას და ძალ-ღონეს უსაგნო ცილობა და კინკლაობაში აკარგვინებს, ელზას-ლოთარენია. ფრანგებს არ შეუძლიანთ და არც უნდათ გამოეთხოვონ ამ ორს პროვინციას, გერმანელებიც თავს ვერ ანებებენ, ამასობაში საქმე თანდა-თან უფრო იხლართება და მიზეზი სამწუხარო მდგომარეობისა მიზეზადვე რჩება. წინად, თ. ბისმარკის კანცლერობის დროს, ვინ გაჰბედავდა გერმანიაში და ვინ იტყოდა: მიეცით საფრანგეთს ძალ-მომრეობით წართმეული პროვინციები და ამ გვარად მოვსპოთ ყოველივე უთანხმოება ამ ორ განათლებულ ქვეყნის შორისო. მაშინ შეერთებულ ძალას ევროპისას ველარავითარი მტერი ვერ გაუმკლავდება, რაც უნდა ძლიერი და ლაშქარ-მრავალი იყოსო. ამ გვარ მქადაგებელს, არამც თუ არას გაუგონებდნენ, არამედ ბისმარკის გაზეთები სამშობლოს მოღალატედაც დაჰსახავდნენ. ეხლა-კი საქმეს სხვა იერი და ფერი დაედო: ბისმარკი იძულებული შეიქმნა თანამდებობისათვის თავი დაენებებინა და გერმანიაში მუქარისა და მუშტის ქნევის ადგილი მშვიდმა და წყნარმა პოლიტიკამ დაიჭირა. და აი, სწორედ ეხლა იჩინეს თავი იმ მამულიშვილებმაც, რომელნიც წინად კრინტის დაძვრასაც ვერა ჰბედავდნენ. გერმანიაში უკვე დაუბეჭდიათ ერთი პატარა წიგნაკი, რომელსაც სათაურად აქვს: „Post tenebras lux“ („წყვდიადს შემდეგ ნათელი“). ავტორი ურჩევს გერმანიას, თუ ვერ დაუბრუნებთ საფრანგეთს ამ ორ პროვინციას, ისე მაინც მოვაწყოთ საქმე, რომ არც გერმანიისა იყოს და არც საფრანგეთისაო. ე. ი. ნეიტრალ სამთავროდ გამოვაცხადოთ ელზას-ლოთარენიო. მაშინ ხმელთა შუა ზღვიდგან მოკიდებული თვით გერმანიის ზღვამდე გამწკრივებული იქმნება რიგი ნეიტრალ სახელმწიფოებისა, შვეიცარია, ელზას-ლოთარენი, ლიუქსენბურგი და ბელგია. გერმანია და საფრანგეთი დაუწყნარდებიან ერთმანეთს და საკინკლაო საბაბი ისეთი აღარა ექმნებათ-რაო.

საყურადღებო აქ მხოლოდ ისაა, რომ წინად ამ გვარი რჩევა, და ისიც გერმანელის პირით გამოთქმული, ერთს აყალ-მაყალს ასტეხდა. ეხლა-კი ძალიან მშვიდობიანად მოისმინეს და ბევრმა თანაუგრძნო კიდეც. საფრანგეთის ზოგიერთი გაზეთიც არ არიან უარს, რომ ასე მოეწყოს საქმე და მიზეზი შფოთისა მოისპოს და გაქარწყლდეს.

მართალია, გერმანიასა და საფრანგეთში თანდათან იკიდებს ფეხს ის აზრი, რომ ელზას-ლოთარენი ნეიტრალი სამთავროდ ვაქციოთო, მაგრამ ამ საგნის შესახებ მოლაპარაკებას კი დიდი სიფრთხილე დასჭირდება. ოცი წელიწადია, გერმანიას ელზას-ლოთარენი ხელში უჭირავს და მოდი ეხლა, აიღე ხელი და დასთმე. სწორედ

## ფელეტონი

### წერილი მეგობართან

ჩემო თადეოზ!

დავუბრუნდეთ ძველს ამბავს. აგერ წელიწადზე მეტია, რაც ქალაქში გამოყვანილს ავჭალის წყალზე ვჩივლე შენთან, მაგრამ ჩემს საჩივარს, რას ვამბობ, ჩემსას-კი არა, მთელის ქალაქის საჩივარსაც არავინ უგდო ყური. ან-კი როგორა სვამთ მაგ უგემურსა და უმარილო წყალს? ალბად ექიმებზე მიაგდებენ წყლის ღირსების დაფასებასა... რად მინდა ექიმი, როდესაც ყველასა აქვს პირში გემო და შეუძლიან თვითონ დააფასოს წყლის ღირსება, და ყველანი-კი ჩივიან. ღმერთო შეგცოდე და იქნება ექიმებისათვის ამისთანა ცუდი და მავნებელი წყალი სარფაც იყოს, ჩვენ რა ვიცით. თუ არა, რა მოსწონთ ამისთანა ფშნის წყალში. მე ასე მგონია ამ შემთხვევაში ექიმს სრულიადაც არაფერი არ უნდა დაეჯერებოდეს, რადგანაც რაც ბევრი ავადმყოფი იქნება, ის უფრო სასარგებლოა მისთვის. ერთის სიტყვით, მე ის უნდა მოგახსენოთ ჩემის ჩლუნგის ენით, რომ 200 ათას სულს არას უჯერებენ და ხუთ ექიმის ნათქვამზე კი ამყარებენ საქმეს. მაინც უხერხულად გამოდის საქმე. მოხელეები ამასა ჰფიქრობენ: ამდენი ფული ჩავლუპეთ ამ წყლის გამოყვანაში და როგორ შეიძლება იმისი დაწუნებაო. რას იტყვიანო! მე ასე ვფიქრობ, რომ მომდურავი არავინ იქნება, რომ ეს შეცდომა გაასწორონ, თუ გინდ იმ დიდს ხარჯს კიდევ მიუმატონ მეორე ხარჯი და სათავე წყლის მილებისა არაგვში გაუკეთონ, ან სადმე ზემო ავჭალას ზემოდ თუ გინდ მტკვარი გამოიყვანონ. მგონია მადლობაც უთხრან ამ ხარჯისათვის. მერე ასე ულეთობა შეიძლება, რომა ძალათ მასვან ისეთი წყალი, რომელიცა მწყურს და უგემურობის გამო ვერ დამილევია. ხათაბალა გინახავთ და ამისთანა? გაგიგონიათ, რომ მტკვრიდგან წყალს იპარავდნენ?

—

მივდიოდით ბათუმისაკენ. ცხელა ისეთ ნაირად, რომ თავს რეტი გვესხმის. მრავალი ხალხი დგას ტფილისის სადგურის დერეფანში. ყველას უჭირავს მსუბუქი ბარგი და არის მომზადებული, რომ ვინიცობაა ჩამოჰკრან ზარი, შურდულივით გაექანოს და ვაგონში იშოვოს ადგილი. კარგად იცის ყველამ, ყველანი გამოცდილნი არიან, რომ თუ ვაგონს გარეთ დარჩა ერთს წუთას, ადგილს ვერ იშოვნის, ან ისე გაუჭირებენ საქმეს, რომ თავ-ბედი იწყევლოს და მამაპაპური ჩარდახიანი ურემი მოიგონოს. ასეა დერეფანში გაჭედილი ხალხი, ერთმანეთს ელაპარაკებიან, მაგრამ თვალ-ყური-კი ზარისა და ვაგონებისაკენ აქვთ. ვიდრე პირველს ზარს არ ჩამოჰკრეენ, ვაგონში შესვლა არავის შეუძლიან. ამ გაჭირვებაში და ჭირის ოფლის სხმაში რომ ვართ, ჩამოჰკრეს პირველი ზარი. ეს ამოდენა ხალხი, ქალი და კაცი, გაექანა ვაგონებისაკენ; გაიჭედნენ კარებში და ვერც ერთი ვერ შესულა, რადგანაც ერთი ერთმანეთს უშლიან. ერთი წივილი და კივილი დგას ქალებისა, კვნესა და ოხვრა კაცებისა, ქოლგების რახა-რუხი, კალთების გლეჯა, ბავშვების დაწიოკება და სხვანი. სწორეთ მეორედ მოსვლა იყო. ვიფიქრე, რაზე იჭირვებენ საქმეს, ეს ვაგონები გაჩერებულია, დგანან, არსაით მიეშურება და ეს ხალხი რაზე იკლავს თავსა-მეთქი?

როდესაც მეღირსა ვაგონში შესვლა, ვნახე, რომ ხალხი, ავეჯი, კალათები, ხურჯინები და ტომრები სულ ერთი-ერთმანეთზე ეყარა. შემეძლო-კი გამობრუნება? ტყუილადა ვცდილობდი დაბრუნებას, რაც ვაგონებში ისხდნენ, ერთი იმოდენა ხალხი კარებიდგან გვაწვებოდა და შემოსვლასა სცდილობდა.

ვაგონი სელიოდკის ბოჭკად გადაიქცა; ჰაერი არსად იყო, სული შეგვიგუბდა; ხელით საზიდავი ბარგი ფეხ-ქვეშ ეყარა, ზოგი ზემოდგან სცვიოდა და იყო ერთი ჯოჯოხეთი; ზოგი ფეხზე იდგა, ზოგიც ჯდა და კალთაში უჯდებოდნენ. როგორც იყო გამოვბრუნდი, დავესინჯე სხვა ვაგონები და იქ უარესი იყო. ავედი მეორე კლასის ვაგონში, ვიფიქრე, იქნება იქ ვიშოვნო-მეთქი ადგილი, მაგრამ იქ უარესი დამხვდა: ხალხით გატენილი მეორე კლასის ვაგონი, თბილი დაბამბული მებელი და საზარელი სიცხე. თითო ფანჯარაში ოროლს გაეყო თავი და ძლივსა სუნთქავდნენ; დანარჩენნი-კი ისხდნენ, როგორც რუსულს აბანოში.

ღმერთმა გეიშველა და დაიძრა ჩვენი გემი. ღმერთმა ნუ ჰქნას ბზრის ბუქნა. გაჭირდა საქმე, შესასუნთქავ ჰაერს ფულითაც ვერ იშოვნიდი. ჩვენმა რკინის გზის მმართველებმა არ იციან, რომ რაც ჩრდილოეთის ქვეყნებში კარგი და გამოსადეგია, სამხრეთისაკენ ბევრჯელ მავნებელია. ჩრდილოეთის ცივს ქვეყანაში რაც ბევრი ხალხი ზის ვაგონში, მით უფრო თბილა და სასიამოვნოა. ჩვენში ღმერთმა აშოროს ყოველს ადამიანს ის ამბავი, რაც მე ვნახე და რაც გაჭირება გამოვცადე. გორამდის-კი გავძელი და იქიდგან მესამე კლასის ვაგონში ვამჯობინე. იქ უფრო გრილოდა, თუმცა სხვა-და-სხვა სურნელება აჭირებდა საქმეს.

რატომ ერთს ან ორს ვაგონს არ მოაბამთ მეტსაო, იძახდა ხალხი, მა-

გმირობა იქნება გერმანიის მხრივ ასეთი საქციელი. ამას წინად ლონდონში მომხდარი ამბავი ცხადად ამტკიცებს, რა ძნელია ჯერ კიდევ გერმანელ მამულიშვილისთვის ელზას-ლორენის დათმობა და გულიდგან ამოღება. შეკრებილი იყო კონფერენცია მშვიდობიანობის მოყვარეთა და სჯა და ბაასი მარტო იმაზე ჰქონდათ, რა საშუალება ვიხმაროთ ომების გასაუქმებლადაო. გერმანიის წარმომადგენელმა დორნმა დიდხანს ილაპარაკა და ამტკიცებდა, რომ გერმანიასა და საფრანგეთს სადავო და გასაყოფი არა აქვთ-რაო, ამ ორისავე ქვეყნის მამულიშვილნი მწერლობის შემწეობით უნდა სცდილობდნენ მშვიდობიანობის ჩამოგდებას და მაშინ, მძულვარებისა და შულლის მაგიერ ორივ განათლებულნი სახელმწიფო მტკიცედ შეკავშირდება ევროპის საკეთილდღეოდაო. ელზას-ლორენიო, მიაძახა თურმე ორატორს საფრანგეთის დელეგატმა, სენატორმა ტრარიემ. ელზას-ლორენის დაბრუნება შეუძლებელიაო, ჩამოართვა სიტყვა დორნმა—აბა მაშ მშვიდობიანობაზე ლაპარაკი ხომ წყლის ნაყვა გამოვაო. ამ მცირე შეკამათებამ მთელი აყალმაყალი გამოიწვია კრებაზედ და ძალიან გამწვავდებოდა თურმე საქმე, კრების თავმჯდომარეს დეპუტატ ვილარს რომ გამჭრიახობა არ გამოეჩინა და არ დაეშოშმინებინა აღელვებული კრება. ეს პაწია ამბავი ცხადად ამტკიცებს, საქმე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ მოსულა დამში და არ მომწიფებულა და იმის გადაწყვეტას დიდი გაფრთხილება უნდა, რადგან ადვილად შეიძლება საქმე გამწვავდეს და ამ გამწვავებამ, მშვიდობიანობის მაგიერ, უთანხმოება დაჰბადოს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** საზაფხულო სეზონს ბოლო ელება და საცაა გუდა-ნაბადს აიკრეფავენ ჩვენი ბაღებში მოლაყე არტისტები და მომღერლები. «სემენის ბაღში» წარმოდგენები იმ თთვის ნახევრამდე ძლიეს გასტანს, რადგან 30 აგვისტოს საზაფხულო თეატრში იწყება წარმოდგენები ფრანგულისა და რუსულის საოპერო დასებისა და ბაღის მემუსიკეები ამ თეატრში გადაველენ. ამიტომ ზემოხსენებულს ბაღში უკვე ბენეფისებიც დაიწყეს. ორშაბათს, 20 აგვისტოს, დანიშნულია ბენეფისი ნ. ა. ბაზისა და წარმოდგენილი იქნება ამ არტისტისავე ორი პიესა: „Онфурій или современный герой" და „Подозрительная личность". ამას გარდა ითამაშებენ ოპერეტ „ბოკაჩიოს" მესამე მოქმედება და მობენეფისე ახალს კუპლეტებს იმღერებს ღლიურს ეაისა და ეარამზედ.

*** 30 აგვისტოს უეჭველად გაიხსნება სურამის გვირაბი. ამ დღეებში საცდელად გაატარ-გამოატარეს თურმე გვირაბში მატარებელი და ნაკლი სრულებით არაფერი შენიშნეს-რა. 28 ამ თთვისას ბ-ნი გზათა მინისტრი გიუბბენეტი ჩამობრძანდება ტფილისში და მეორე დღეს წიფაში წაბრძანდება გვირაბის კურთხევაზე დასასწრებლად.

*** სოფ. დონდალოში (ქვედა აჭარა). აქაური მცხოვრებლები მოლა-თეიარ-ყასუმ-ოღლი და მისი ამხანაგი წავიდნენ ღამის ორ საათზე ყანის სათვალ-ყურებლად. ამ ორმა ამხანაგმა ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ ცალკ ცალკე ღორს ჩავუსაფრდეთ და ყანის ნაპირებზედ ვიაროთო. კარგა ხანს უდარაჯეს ღორს, მაგრამ, რომ ვერა ნახეს-რა, ჯდომა მოსწყინდა მოლა თეიარს და ადგა და თავის ამხანაგის სანახავად წავიდა. ამხანაგმა დაინახა თუ არა, იფიქრა, ეს ნამდვილი ღორი არისო, ესროლა თოფი და საწყალი კაცი იქვე გადააბრუნა დაჭრილი ჯერ ცოცხალია, მაგრამ ძნელად თუ გადარჩეს.

*** ცხინვალი: ჩვენში უკვე კარგა ხანია, რაც სცენის მოყვარენი ქ-ნ ქურულის თაოსნობით ქართულის წარმოდგენის გამართვას აპირებენ განსვენებულ ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ, მაგრამ აქამდე ვერა მოახერხეს-რა. კარგი იქნება, რომ აჩქარებულიყვნენ და ჩქარა გაემართათ ეს წარმოდგენა, ვიდრე მეგარაკენი აქვე არიან და არ წასულ-წამოსულან.

*** სოფ. მუხრანი: პურის მოსავალი წელს ჩვენ მხარეს კარგია. ღვინის მოსავალსაც კარგს მოველით, მაგრამ გოლვამ ცოტა არ იყოს გაგვიფუჭა. ეხლა სოფელში გაცხარებული კალოობაა. აქ ჩამოიტანეს სალეწავი მაშინა, რომელმაც ორის კვირის განმავლობაში იმდენი გალეწა მუხრან-ბატონის ძნები, რამდენსაც ჩვენებური კევრები ორ წელიწადსაც ვერ გალეწდნენ. ამ დღეებში მუხრანთან ახლო, ლამიანად წოდებულს ადგილას ორი თუშის გულისათვის მოკლეს ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი. მკვლელი უკვე აღმოჩენილია. წელიწადია, რაც ჩვენ მუხრანელ სომხებს არა ჰყავდათ საკუთარი მღვდელი და ამის გამო დიდად შევიწროებულნი იყვნენ. ამ თთვის 5-ს ძლივს ეღირსათ საკუთარი მღვდელი, რომელმაც ამ ახლო ხანს მიიღო მღვდლობა, აქამდის-კი 12 წლის განმავლობაში მასწავლებლად იყო ქალაქში. ამ ახალგაზდა მღვდლისა ჩვენს სოფელს დიდი იმედი აქვს. ამ დღეებში დუშეთის მაზრის სომხეთ ბლალოჩინმა წირვაზედ წარმოსთქვა ქართულად გრძნობით სავსე სიტყვა და აუწყა ახალს მოძღვარს მისი მოვალეობა და ისიც, თუ რას მოელის მისგან მრევლი. მუხრანის ყველა სომეხიცა და ქართველიც ეკკლესიაში იყო და მამა ბლალოჩინის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ კარგი მოქმედება იქონია მსმენელებზედ. თვით მუხრან-ბატონმაც დიდი სომხეთა თანაგრძნობა გამოიჩინა და იმავ დღეს ბლალოჩინს გადასცა ათი თუმანი ფული წმ. მირონის კურთხევისათვის ეჩმიაძინს გასაგზავნად.

*** სოფ. ხურები: ბევრი უკმაყური საქმე ხდება ჩვენს სოფელში, მაგრამ ხანდახან სასიამოვნო რამ მოვლენაც თავს ამოჰყოფს ხოლმე. აი, ამის მაგალითიც. აქაურ სასოფლო სკოლას შესწირეს მიწა ორმა სოფლელმა, ბიჭია და იესე რამიშვილებმა. ეს შემოწირულება 80 მანეთისა იქნება და დიდის მადლობის ღირსნი არიან ხსენებული შემომწირველნი. სასიამოვნო იქნება, რომ ამათ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ ჩვენს სოფელში და, ხელის შეძლის ნაცვლად, დახმარება გაუწიონ განათლების საქმეს.

*** სოფ. ხიდის-თავი (გორის მაზრა): აგვისტოს 10 ახალ-ჯვრის ეკკლესიაში აქაურმა მღვდელმა მ. ნ. კარიჭაშვილმა და ხელთუბნისამ მ. ი. გერმანოვმა პანაშვიდი გადაიხადეს ჩვენის დაუვიწყარის ისტორიკოს-არქეოლოგის განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ საკმაო ხალხი დაესწრო.

*** სოფ. კაკი: საინგილოში მრავალ გვარი ნაშთი დარჩენილა ჩვენ მამა-პაპათა დროისა: ნანგრევი ეკკლესიათა, ციხე-კოშკთა და სხ. და სხ. აგრეთვე ტყესა და ღრეში, უდაბურ და მიუვალ ადგილებში მრავალია ძველი ქვევრები, მიწაში ჩაფლული, სასაფლაოები, აუზები და სხ. თვით სოფლებსა და ადგილებსაც ქართული სახელები ჰქვიან, მაგალ., პაატიაჲ ღელეჲ (პაატას ღელე), მათეჲ ყალაჲ, დიდ-გუბ (დიდი გუბე), კეჭენი, სოხიკაანი, მამრეხი, მუხახი (მაწეხი), წერეთლის ღელე, წერეთლის-ტახტი, ტრანა-ყალა და სხვ. აგრეთვე ხალხის გვარებიც წმინდა ქართულებია: ნადირაშვილი, თამაზაშვილი, ბეროშვილი, თაფლოშვილი, ქიტიაშვილი, ბერიკაშვილი და სხ. ამ გვარად სჩანს, რომ ეს ქვეყანა ძველადგანვე ქართველებით ყოფილა დასახლებული. განსვენებული პატკანოვი ამტკიცებდა, რომ მთელი საინგილო, ძველად წოდებული ალბანიად და, სომხების მწერლების თქმით, ალოვანად, სომხებთაგან იყო დასახლებულიო. ამას პატკანოვი ზოგიერთ ალაგის სახელების განმარტებით ამტკიცებდა. მაგრამ მისი განმარტება ისეთი დაუჯერებელია, ისეთი ნაძალადევი, როგორც ზოგიერთი სლავიანოფილთა მიერ განმარტება სიტყვისა მუშეკ. მუშეკი სომხეთის ქალაქია ვანის მხარეს. ხსენებულ სლავიანოფილებმა მუშეკი შეუდარეს სიტყვას „მუჟიკ" და დაასკვნეს, რომ უწინდელ დროს რუსთა ტომის საცხოვრებელი ადგილი სომხეთის შუაგულამდე უწევდაო. პატკანოვსაც ასე დაემართა. საინგილო რომ ქართველთა ტომით ყოფილა დასახლებული, ესა სჩანს, გარდა ზემო დასახელებულ გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ სახელებისა, აგრეთვე იმითაც, რომ წრეულს ერთის ძველის ეკკლესიის ნანგრევში მღვდელმა ყულოშვილმა იპოვა ქვა ხუცურ ასო-მთავრულ ზედწარწერით. ნაწერი ფრიად ძველია და ცხადად ამოიკითხება შემდეგი სიტყვები: თავპასაშვილი, ქრისტესია, შეუნდოს, უფალმან, სახუფეველსა, შენსა და სხ. ქვას პირი გადიღო მ. ჯანაშვილმა და წაიღო ქალაქს. იმედია, წარწერის შინაარსს სრულად შეგვატყობინებს.

*** ბათუმიდგან სწერენ გაზ. „Каспій"-ს: ჩვენმა გამოჩენილმა რაინდმა ეილობუემა ერთხელ კიდევ ისახელა თავი თავის საქციელით. ამას წინად, როგორც ბევრს უკვე გაეგონება, ტომსონის ცირკიდგან მოიტაცა ქალი ბეკკერი, პირობა მისცა, შეგირთავო, მაგრამ სწორედ ისე მოიქცა, როგორც მოსალოდნელი იყო. ქალის მშობლებს როგორღაც მოურიგდა და ქორწილი-კი ყინულზე გააცურა.

*** აგვისტოს 17 რიყეზე ეტლს № 211 ქვეშ მოჰყვა რვა წლის ბავშვი დიმიტრი ვარდიაშვილი და თავი გაუტყდა. ყმაწვილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. მეეტლე ალექსანდრე პოპოვი პასუხის-გებაშია მიცემული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ეკატერინენფელდი. 13 აგვისტო. ეკატერინენფელდის საბოქაულოში ოთხი ქართველთა სოფელია, სახელდობრ: ხატის სოფელი (ბოლნისი), ქვეში და დიდი და პატარა რატევანი. ამ სოფლებში ქართველთა მოსახლობა, სულ უკანასკნელი, რიცხვით ას კომლამდე იქნება, კომლში რომ ორთა შუა რიცხვით ოთხი სულით ჩავთვალოთ, სულ ოთხასი ქალი და კაცი იქნება. ამ ოთხასს ქალსა და კაცში ათმა ძლივს იცის ხელის მოწერა და ოდნავ კითხვა. ამ გა-

---

გრამ კონდუქტორები ბოხის ხმით და ცხვირ-აკრულები უპასუხებდნენ: კანონში არა სწერია და, ამას გარდა, სადგურებზედ ბევრი ხალხი გამოვა ვაგონებიდგან და ხალვათად იქნებითო, მაგრამ ეს არ გამართლდა, რაც დავშორდით ტფილისს, მით უფრო მოემატა მგზავრი და შეგვიგუბეს სული. რიონის სადგურს რომ მივატანეთ, ამ გაჭირებას კიდევ სხვაც დაემატა. არ ვიცი საიდგან გაჩნდნენ ვაგონებში ურიები ძალიან ბლომად და გააჩინეს ვაჭრობა. ამათ უფრო შეგვიგუბეს სული. ასე ვასინჯეთ, „მაროჟნის" გამყიდველიც გაჩნდა. ერთის სიტყვით, იარმუკა გაიმართა ვაგონებში. ნეტავი ერთს ადგილას მაინც დამსხდარიყვნენ, დადიოდნენ ვაგონიდგან ვაგონში და გვიხახუნებდნენ ცხვირზე თავისს ფართალ-ფურთალსა და მყრალ ჩოხის კალთებს.

ამათი სენი შეჰყრიათ იმერლებსა, გურულებსა და მეგრელებსაც. არც ერთს კაცს არ შეეძლო ერთს ადგილას ჯდომა. დადიოდნენ ვაგონებში და გიყურებდნენ პირში, ალბად სიცხისაგან ჰქონდათ ტვინი შეხურებული და ეს აფთიანებდათ, მაგრამ არც ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რადგანაც მომეტებული ნაწილი ნაბდებითა და ყაბალახებით იყვნენ მობუდნულები. ერთის სიტყვით, ძალიან ცუდად არიან დაჩვეულები, ვაგონები ბულვარი ჰგონიათ.

ვიფიქრე, რომ რაც ქუთაისის არემარეს დავცდებოდით, შალავათი მოგვეცემოდა, მაგრამ ძალიან შევცდი. იქ ურიებს დაჰქონდათ ვაგონებში მრავალი ფირთალ-ფურთალი, და რაც ჩავიარეთ და ბათუმისაკენ ვქენით პირი, საიდგანღაც გაჩნდნენ სხვა ნაირი, სოფლელი ურიები და სომხები. მესამე კლასის ვაგონებში ბინდისას შემოაპარეს მრავალი ბატი, ინდოური, ქათამი და, ასე გასინჯე, გოჭები და ღორებიც-კი. ისეთი სუნი დააყენეს, რომ ღმერთმა ჩემი მტერი და იხსნას ამისთანა სასჯელისაგან. გაჩნდა ჩხუბი, კონდუქტორები ერეკებიან და მექათმეები არ მიდიან, მაგრამ როგორც შევატყე, ეს სულ თვალთმაქცობით იყო, განგებ ერეკებოდნენ და განგებ ჩხუბობდნენ, თორემ ნება რომ არა ჰქონოდათ, როგორ გაბედავდნენ, რომ ვაგონი საღორედ და საქათმედ გადაექციათ. ერთის სიტყვით, მრავლისაგან უმრავლესი უპატიურობა, ურიგობა და უგლიმობა არის, ჩემო თადეოზ თქვენის მხრის რკინის გზაზე. ამას თავი დავანებოთ და მეორე მხარეს მივაპყრათ ყური. გადიხედავ იმერეთისაკენ, ბექათუბნიდგან დაწყებული ყვირილამდის უსუსური შავშვებიც-კი მიჩენილნი არიან, რომ მგზავრი მოატყუონ. პატარა ბიჭებს გამოაქვთ ბოყვებითა და კალათებით მარწყვი, ქოლო, ოლანა და სხვ. ბოყვი ბალახით არის გატენილი და ზემოდგან ერთის თითის დადებაზე აყრია მარწყვი. მგზავრი ყიდულობს და ათ მარცვალს შესჭამს თუ არა, ჰხედავს, რომ ბალახის მეტი არა არის რა იმ ბოყვში, მაგრამ რას უზამ, ორთქლ მფშვინავი მიგაქროლებს ფრინველივით. ამ მოტყუებაში არიან წვრილი ბიჭ-ბუჭები და ყოველ საძაგლობასა სწავლობენ. მართალია, თქვენის ქალაქის ვაჭრობაც მოტყუებაზეა დამყარებული, მაგრამ ვინ არის ამისი მადლიერი?

ბათუმისაკენ რომ ასეთი შესაწუხარია მგზავრობა ზაფხულში, მაშ ბაქოსაკენ რა უნდა იყოს, სადაც საშინელი ფიცხი ადგილები არის? მგონი ადამიანი მოიხარშოს.

—

მე ის მაკვირვებს, ჩემო თადეოზ, რომ რამდენი უსაქმური ხალხი ჰზის ხოლმე ყაბალის ბაღში და აგრეთვე იარმუკის გარშემო დუქნების ბალკონებზე და ამ პაპანაქება სიცხეში მთელი დღე ჩაისა სმენ, გეგონება ამ უსაქმო ხალხს ხელმწიფისაგან პენსია აქვთ გაჩენილიო. ამათთვის არც საქმე გაუჩენია ღმერთსა და არც დარდი. ნეტავი მაცოდინა, რითი სცხოვრობენ, ვინ არის ამათი შემნახავი? ლამის რაინდებს რომ ეძახიან, ესენი ხომ არ არიან.

გახსოვს უწინდელი პოლიცმეისტრები? ისინი მოჰკითხამდნენ ხოლმე, რა ხელობის ხალხი ხართო, და სიზარმაცისათვის საიდგანაც მოსულიყვნენ, იქით ისტუმრებდნენ. მაგრამ მაშინ სულ სხვა დრო იყო, მაშინ ცოტა ხალხი იყო და ამისთანა პაქარა ხალხი ცხადადა სჩანდა. ეხლა-კი ისე ირევა ხალხი, რომ მგონია პოლიცმეისტერსაც ვერ იცნობენ, არამც თუ პაქარაები გამოარჩიონ. ახალი მოდა აი კიდევ რა ვნახე: მენახშირეები ქაღალდსა თამაშობენ თუ არა გჯერა, ვარანცოვის ხიდს რომ გახვიდე კუკიაში, შებრუნდი ელისაბედის ქუჩაზე და მხარ მარცხნივ ჰნახავ ნახშირის დუქანსა და თავით ფეხებამდის გამურული მენახშირეები ქაღალდს აწკაპუნებენ შენი მოწონებული. აი, სადამდის მივიდა ჩვენი, განათლება უნდა მეთქვა, არა, დაბნელება.

ქაღალდში რომ მენახშირემ წააგოს წვითა და დაგვით ნაშოვარი ფული, განა იმისი გამზეგვავი არა ცხონდება? აი აქედგან და მთელის დღეის უსაქმურობისაგან წარმოსდგება ყოველი ავაზაკობა. ერთი, ვექობ, ამათგანი კუკიის ეზოში შემოვიდა და სტოლზე გადასაფარებელი სუფრა დააფასა რვა მანეთად, ერთმა ქალმა ხუთი მანათი შეაძლია, დალალი განგებ მიატრიალ-მოტრიალდა, ვითომ იწყინა კიდეც, მაგრამ ბოლოს ხუთ მანათად მისცა. ერთი გამოცდილი კაცი შეესწრო იქა და უთხრა: რად მიეცი ხუთი მანათი, როდესაც მაგ სუფრას ოთხ-მანათადაც კარგად მოგცემდაო. დალალი კიდევ შეფხუკუნდა, ხელიდგან გამოსტაცა სუფრა,

...რმოების მიზეზი ის არის, რომ აქ თავის დღეში სკოლა არა ყოფილა. მღვდელთა, რომელთაც-კი აქ უმწყსიათ, ამ საგნის შესახებ არაფერი შრომა-მოღვაწეობა არ მიუძღვით და ეს ამოდენა ხალხი უპატრონოდ და უსწავლელად იღუპება. აქაური ხალხი გაიძახის, თუ სამრევლო სკოლა სავალდებულოა, რატომ ჩვენს მღვდლებს-კი არ აკისრებიანო. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, თუ შევადარეთ იმ მრავალ ქართველ მოსახლეს, რომელნიც თრიალეთის საბოქაულოში ბინადრობენ. აი სახელები ამ საბოქაულოში ქართველთა სოფლებისა: კიონეთი, ჯალდამი, ბალიჭები, გოროუნჯუკი, ვარდისუბანი, დუმანისი, გოსლები, ყალამშა, მიჯა, დიდი-გომარეთი, პატარა-გომარეთი, ახა, ერკუშაანთ სოფელი, ეგრისი, ძველ დუმანისი და კიდევ ბევრი სხვა, რომლების სახელიც ვერ შევიტყე. ეს სოფლები ზოგი დიდია, ზოგი პატარა და ზოგში ორასი კომლი სცხოვრობს, ზოგში ათი. საშუალოდ, სოფელში რომ ოცდა-ათი კომლი ვიანგარიშოთ, შესდგება ოთხას ორმოცდა-ათი კომლი და კომლზედ რომ ოთხი კაცი ჩავაგდოთ ათას რვაასს კაცს დაიჭერს. დავუმატოთ ამას ზემოდ მოხსენებული ოთხასი კაციც და შესდგება ორი ათას ორასი კაცი. ეს ხალხი მარტო მაზრის ორ საბოქაულოში სცხოვრობს. დაუმატეთ ამას ორიც სხვა ამ მაზრის საბოქაულოს მცხოვრებლები, რომელთა რიცხვი სულ ცოტა, რვა-ასი კაცია და ცხადად დაინახავთ, რომ სამი ათასი სული კაცი, თუ ცოტა ნაკლები, უპატრონოდ და ყველასაგან თავ-მინებებული იღუპება, საბნელეთის მორევში უსწავლელად.

ამ არა სასიამოვნო ამბავს ის შედეგი მოჰყოლია, რომ ზოგს სოფელში ქართველობას ენა დავიწყებია და თათრულად ლაპარაკობს. მღვდელი ბერძნები ჰყავთ და წირვა-ლოცვა ხალხის გასაგებ თათრულს ენაზედ ყოფილა. ნუ თუ შემდეგაც ასე უნდა იაროს ამოდენა ხალხის ბედ-იღბალმა, ნუ თუ „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" არც კი უნდა იცოდეს ამოდენა ხალხის არსებობა მიყრუებულს მაზრაში?!. ნუ თუ ამოდენა ხალხში ერთი სამრევლო, ან საერო სკოლა არ უნდა არსებობდეს? რას აკეთებენ ყველა ის, ვისიც ვალი და ჯერია ამ საქმის მოვლა და ზრუნვა? თუ ამ ხალხის არსებობა იციან და აქამდის მაინც უპატრონოდ დაუტოვებიათ, რა პასუხი უნდა გასცენ ერს ასეთის მომაკვდინებელ ცოდვისათვის? გაიხსენებ, რომ ას კაცში ოთხმოც-და-ცხრამეტმა სახელისა და გვარის მოწერა და ჩათვლით კითხვაც-კი არ იცისო, უნებურად გაიძახი, ქვეყანაზედ აღარც სიბრალული ყოფილა და აღარც პატრონობაო. ნუ თუ ვისიც პირდაპირი მოვალეობა არ არის, სინიდისი არ უნდა აწუხებდეს და ამოდენა ხალხის სიბრალული არ უნდა ჰქონდეს? ამბობენ, ამ მაზრაში სიღნაღის მაზრის უფროსი გადმოჰყავთო და ხალხს ძალიან უხარიან, რადგანაც გაუგია, რომ ხსენებული მაზრის უფროსი სწავლა-განათლების საქმეს ისეთსავე ყურადღებას აქცევს, როგორც თავის პირდაპირს მოვალეობასაო. ვნახოთ, შემდეგ რა იქნება.

ყ.

◆◆

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დღეს „Недѣля"-შიერთი წერილია დაბეჭდილი იმ კამათის შესახებ, თუ რომელი სჯობია, ძველი თუ ახალი თაობაო. მოგვყავს ამ წერილის საინტერესო ადგილები ჩვენთა ძველთა და ახალთ თაობაზედ მოკამათეთა საყურადღებოდ. „Недѣля" ამბობს, რომ

ჩვენს დროში მეტად ბევრნი ჰკიცხავენ საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზდობას, და ძველს თაობას, ძველს საზოგადოებას შეუდარებენ ხოლმე იმის უვარგისობის დასამტკიცებლად. ამ შედარების დროს ერთის თაობისას ყოველსავე კარგს, საუკეთესოს, ბრწყინვალეს მხარესა ჰხდიან ფარდას და მეორე თაობისას —ყოველსავე ცუდს, უვარგისს, დუხჭირს. აშკარაა, ასეთის შედარებით გამოდის, რომ ერთი თაობა უნაკლულო, ზედ დაუდებელი, სიკეთით სავსე და სრული ყოფილა, მეორე სრულიად უვარგისი, წუნითა და ნაკლით აღსავსე. ასეთი არა-საკადრისი ხერხი ერთის გათეთრებისა და მეორის გაშავებისა აშკარად ამტკიცებს, რომ მოკამათეს თავისი დრო ვერ დაუფასებია და საგანი მიუდგომლად ვერ აუწონ-დაუწონია. ცხოვრებას ჩამორჩენილნი ყოველთვის უკან იხედებიან და იმ აზრისანი არიან, რომ კაცობრიობის ოქროს საუკუნე სადღაც შორსაა, გაიარა, ისტორიის წინა დროებში იყოვო, ხოლო ცოცხალი ადამიანი კი ყოველთვის წინ იხედება და დარწმუნებულია, რომ ოქროს საუკუნე წინ მოელის. საერთოდ საზოგადოებისა და კერძოდ ახალგაზდობის უმრავლესობა არას დროს არა ყოფილა და არც არის კეთილშობილებითა, თავ-განწირვითა, ჭკუითა და ნიჭით სავსე. უმრავლესობა ყოველთვის უფერულია და გონებრივად და ზნეობრივად მალიან განვითარებული არ არის, თუ შევუდარეთ იმ ორიოდე რჩეულს, რომელიც ყოველ თაობაში მოიპოვება. აწინდელი უმრავლესობა არაფრით ჩამოუვარდება წარსულ უმრავლესობათ, წინადაცა და ეხლაც მხოლოდ უმცირესობაა სამაგალითო და წუნ-დაუდებელიო.

იმის დასამტკიცებლად, რომ ეხლანდელი ახალგაზდობა რუსეთისა არც ისე უდიერად მოსაქცევია და ერთის ცოცხის მოსმით გარეთ გასახვეტიო, გაზეთს ერთი ამბავი მოჰყავს „Смоленскій Вѣстникъ"-დგან, გლეხის მიერ მონათხრობი. აი ეს გლეხი რასა სწერს:

აგერ უკვე მთელი წელიწადია, ჩემს მეზობლად სცხოვრობს კერძო ექიმი გ. პ. ნ—ვი, დუხოვშჩინის და დოროგობუჟის საზღვრებთან მყოფ სოფელში, სწორედ იმ ადგილას, რომელიც ყველაზედ უფრო მეტად არის დაჩაგრული მკურნალობის მხრით. ცხრა წელიწადია თითქმის, რაც აქა ვცხოვრობ და გაგონებითაც არ გამიგონია, რომ თემის ექიმს შემოეხედნოს როდისმე. აქაური ხალხი ავადმყოფობის დროს ან ლოცვას მიჰმართავს ხოლმე და ან მკითხავს. მაგრამ აგერ დადგა ამ მივიწყებულს მხარეში ახალგაზდა ექიმი, ქვეყნის სიკეთით გულ-აძგერებული. ყოველ დღე და ყოველ მხრიდგან დიდ-ძალი ავადმყოფი დადის ამ ახალ ექიმთან. მორჩენისათვის იგი 20—30 კაპ. იღებს, თავისი საკუთარი აფთიაქიცა აქვს და დიდის გულის ტკივილითა ჰმუშაობს. აი კიდევ მეორე ამბავი, იმავ გლეხისაგან ნაამბობი, ერთის ყმაწვილ კაცის შესახებ რომელიც ტვერის გუბერნიაში სცხოვრობს.

ყმაწვილი კაცი პ. ვ. ნ—ვი ექიმობს სოფელში, მაგრამ უნდა იცოდეთ, როგორა ჰშრომობს. ამ აჩიარებულს ადამიანს თავის მუშაობა დღეში აბაზადა აქვს დაფასებული და ამის თანახმად ყოველს ავადმყოფს 2 კაპ. ახდევინებს. ამას გარდა ცალკე ყულაბიცა აქვს გამართული, სადაც ავადმყოფები თავის ნებისამებრ თითო გროშობით აგდებენ ფულს წამლისათვის. ამ ყულაბის გასაღები იმ სოფლის მამასახლისსა აქვს, რომელიც, ექიმის განკარგულებით, დრო გამოშვებით აღებს და ამ შეწირულის ფულით ქალაქიდგან წამლები მოაქვს. ეს ფული კიდეც ჰყოფნის წამლებს, ასე რომ ავადმყოფებს წამლების ყიდვა არა სჭირდებათ. ამ გვარად აქაურს გლეხობას თავისი საკუთარი უფასო აფთიაქი აქვს. ყველაზედ გასაოცარი და გასაკვირველი-კი ის არის, რომ ამ მცირე სასყიდლით, და მუქთის ოთახით როგორა სცხოვრობს ექიმი. რაღა თქმა უნდა, იგი თამბაქოს არა სწევს, ღვინოს არა სვამს, უბრალო საჭმლით იკვებება და სადა ტანისამოსი დადის, მაგრამ ჯან-საღი-კია, ზნეობრივად კმაყოფილი და მშვიდობიანი ცხოვრება აქვს.

გაზეთი ამბობს დასასრულ, რომ თუ უფალს ხუთის (თუ ათის?) მართალის კაცისათვის სოდომისა და გომორის შეწყნარება უნდოდა, ასე საერთოდ გაკილვა და გაკიცხვა მთელის თაობისა არ შეიძლება, მეტადრე მაშინ, როცა ამ თაობაში ზემოდ დასახელებულ ექიმებისთანა ყმაწვილი კაცები მოიპოვებიან, თუნდა ძალიან ცოტანიც იყვნენ ისეთები. მაგრამ ცოტანი-კი არიან? მიიხედ-მოიხედეთ, ბატონებო, გარშემო, გამოახილეთ თვალები, ის მცირე წრე, რომელშიაც თქვენა ტრიალებთ, მთელი ქვეყანა ნუ გგონიათ, იმის იქითაც გაიხედეთ და დარწმუნდებით, რომ ზემოხსენებულ ექიმისთანა კაცები ყოველ საქმეში მოიპოვებიან, ისეთი კაცები, რომელნიც საზოგადოებას სწირავენ თავს და უსასყიდლოდ ჰშრომობენ საერთო კეთილდღეობისათვის. ამას გარდა ნუ დაგვავიწყდებათ, რომ აწინდელი საზოგადოება, არამც თუ არაფრით ჩამოუვარდება წინანდელს, სჯობნის კიდეც და გაცილებითაც სჯობნის.

◆◆

## რუსეთი

როდესაც ახლად შესდგა პროექტი ახალ სავაჭრო წესდების გამოცემისა, მაშინ განზრახვა ჰქონდათ, შემოეღოთ ერთგვარი დავთრები, რომელშიაც უნდა ჩაწერილიყო, თუ რომელიმე ფირმა ერთის კაცის ხელიდგან მეორისაში გადავიდოდა. ამ ღონის ძიებით ჰსურდათ მოესპოთ ის არა-სასიამოვნო გარემოება, რომ ბევრჯელ ფირმის სახელი ერთისაა ხოლმე და სახრავი-კი მეორისა, კანონთა და სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტმა სახელმწიფო საბჭოსამ უარ-ჰყო ეს დავთრები იმ აზრით, რომ ვაჭრებთა შორის ნდობა, აღებ-მიცემობა გაძნელდებაო. „Нов. Вр."-ას სიტყვით, ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროს ხელ ახლავ მიუქცევია ყურადღება ამ საგნისათვის. ძლიერ ხშირადა ხდებაო, შეუნიშნავს სამინისტროს: რომ ფირმა იმ კაცის სახელზეა, რომელიც ან ცოცხალი არ არის და ან საზღვარ გარედ სცხოვრობს და სავაჭრო დაწესებულების საქმეში პასუხის-გება არ შეუძლიანო. ამის გამო სამინისტრო ჰფიქრობს დაავალოს ყველას, რომ ფირმაში ნამდვილის პატრონის სახელზე იყოს გამოცხადებულიო. თუ ზოგიერთს ნება მიეცემა სხვის სახელზე ფირმის წარმოებისა, მაშინაც პატრონის სახელი უთუოდ უნდა იყოს მოხსენებული სავაჭრო საბუთებში და სავაჭრო სახლების განცხადებაზედ.

— ის კომისია, რომელიც თ. ვოლკონსკის თავმჯდომარეობით იყო შემდგარი და რომელსაც მინდობილი ჰქონდა, შეეცვალა პროგრამმა კლასსიკურ გიმნაზიებისა, თავის მუშაობას კვლავ განაგრძობს ამ შემოდგომაზედაც, თუმცა უკვე რამდენიმე ცვლილება კიდეც შემოიღო და წრეულადვე შესცვალა პროგრამა. კომისიას ჯერ-ჯერობით კიდევ იმ ცვლილებათა შესახებ ექნება სჯა, რომ

---

კარებამდის მივიდა და მერე დაბრუნდა ისევ და ოთხ მანათად მისცა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მანათი და ათი შაური აღარ მეტი. ახლა ტფილისის მოქალაქეები იტყვიან, რომ ეს ვაჭრობა არისო.

მეორე შემთხვევა იმავე ეზოში კინტომ გაჰყიდა ასი კვერცხი და როდესაც წაიღო და ხელ-ახლად გადათვალეს, აღმოჩნდა, რომ ოცი კვერცხი აკლდა. ხუთის დღის შემდეგ იმავე ეზოში საპოლიციოდ გახდა საქმე, რადგანაც ასის კვერცხის მაგიერად კინტომაც ოც და-ხუთ კვერცხ ნაკლები მიაჩეჩა. აი რა ისის ბალკონებზე ჩაის სმამა და შეუწყვეტელმა ქეიფმა. აქედგან სჩანს, რომ ვაჭრობის საძირკველი მოტყუება ყოფილა. რაცა ღირს მანათად, თუმნად უნდა დააფასონ; უცოდინარი კაცი ნახევარს მაინც მისცემს და ამ ნაირად შეიქნება სოვდაგრად. განათლებული კაცი იტყვის: აი, ბარბაროსობის დრო მოსწონსო. რაც უნდა ითქვას, კარგია, როდესაც ცრუ და მატყუარა კაცს შიშით მაინც თავის დონაზე დააყენებ.

ამ ჟამად იმითი აშინებენ ვაჭრებს, რომ გაფუჭებულს ხილს წყალში გადაუყრიან ხოლმე, მაგრამ ვიდრე გაფუჭებულს ხილს წააწყდებიან, რამდენს შეჰყრის ზოგიერთი ბაყალი ციებცხელებას. ყვითელის ჭერამით რო კაცი გაძღეს და ზედ ავჭალის წყალი დაასხას, მაშ რა მოუვა?!

—

ნეტავი შენა, თადეოზ, რომ არაფერს არ უგდებ ყურსა და არა გაწუხებს-რა. რატილი რომ მღერის, მიდუნებულმა ბუნებამ თავი წაართვა ტკბილ ძილსაო, შენ არ შეგეხება. რამდენსა გწერ და ერთის წიგნის პასუხიც არ მომსვლია. უზიხარ წითელ ნუნუასა და წრუპავ უწინდებურად დარბაისლურად. ეხლა, თუ შეგიმჩნევია, სპის შნოც აღარა აქვს ჩვენ ქართველ ხალხს. არ ვიცი, გოგრა დაუსუსტდათ, თუ ღვინოს მიეცა ისეთი ძალა, რომ სმაში გიჟდებიან და ხანჯლებს ატრიალებენ. ამისი-კი რა მოგახსენო, მაგრამ სადილი არ გათავდება ისე, მეჯლისი არ დაბოლოვდება, რომ გასულელებულმა რეგვენმა ფაშვები არავის გამოაყაროს და ლხინი არ ჩაამწაროს. ესეც ახალი მოდა არის, თორემ რა ღვთის რისხვაა. მშვენიერის ღვინისათვის თავი დაუნებებიათ და დუქანში, ვაი სირცხვილო, ვაი სიკვდილო!—სალდათებივით არაყსა სმენ. რაღა თავადიშვილობა ეთქმის ტურტლიანს დუქანში მჯდომს! ოჰ, ღმერთო, რა დროებას მოვესწარით! ვაჭრობას თაკილობენ, მუშაობას არა კადრულობენ. და დუქანში სმა და დათრობა-კი მათს საკვეხურად მიაჩნიათ. ამისთანა გმირობასა და ვაჟკაცობაში ქართლში სურამია გათქმული. აი, თუ აქაც უწყალოდ არ მიირთმევენ ყმაწვილები, სწორეთ მოგახსენოთ, ჩემო თადეოზ, და ეს დიდი ჭკუის დაბნელებაა ჩვენის ხალხისა. ჰიანჭველას რომ ღმერთი გაუწყრება, ფრთებს გამოასხამსო. იმის მაგიერად, რომ ღვინო და პური თავის ოჯახში შეირგონ თავის ოჯახში ილხინონ, მიდიან დუქანში და... აბა, ჩამოასხი, ბიჭო! მედუქნეებსაც ეს უნდათ. ჰყაპ ღვინოს გაასაღებენ და შნოსაც მისცემენ თავად აზნაურთა პატივის-ცემით. მაგრამ რა წამალი აქვს ამისთანა რეგვნობასა და დუქნებში წოწიალს? ჩვენდა საუბედუროდ ისეთი დრო დადგა, ისეთი ჭკუის დაბნელება ჩამოვარდა, რომ უმცროს-უფროსობა აღარ არის; არც არავისი მორიდება აქვთ, არც არავისი რცხვენიანთ. უწინდელ დროში კეთილ-სინიდისიანი თავად-აზნაური დუქანს ახლოც არ მიეკარებოდა და სირცხვილად მიგვაჩნდა, დუქნის შემდეგ პატრონსანს ოჯახში აღარ მიგვესვლებოდა. ეხლა-კი საკვეხურადაც არა ჰყოფნით. მერე ვისაც მედუქნის ნდობა აქვს, დიდი ბუზი ჰგონია თავისი თავი...

—

მაგრამ რა არ იცვლება. ჩემო თადეოზ, ჩვენს თვალ წინ. ზნე, ხასიათი, ჩვეულება ისე სისწრაფით იცვლება, როგორც სისწრაფით დადის რკინის გზის მავალი. ადამიანს შერცხვება და მოერიდება დაცინვას, როდესაც გარეშემო ხალხი იცნობს, ნათესავი ჰყავს, ან მოყვარე. ჰო, შეიძლება ამათი კიდევ მოერიდოს ადამიანს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ხალხი არეულია, არამც თუ ერთმანეთს ვერ იცნობენ, ერთი ერთმანეთისაც აღარა ესმით-რა, რისი უნდა შერცხვეთ, და ვისი მორიდება უნდა ჰქონდეთ. შეხედავ პატრონსანს მოხუცს კაცს ტანისამოსი თავისი აცვია და თავზე ჩალის შლიაპა ორგან თუ სამგან ჩამტვრეული აქვს; მეორეს ჰხედავ, აგრეთვე დარბაისელს დროულს კაცს, გრძელი ნაშურის ახაზეიდგან რუსული სამხედრო ღილებ გახსნილი სერთუკი წითელის საყელოთი და თავზე ფაფანიკი, შეიძლება ამაზე უცნაურესი რამე ქვეყანაზე? თუ არ დაიჯერებთ ამას, გაისეირნეთ ბათუმისაკენა. ამისთანა მშვენიერად მორთულს დარბაისელს მოსდევს ლამაზი ყმაწვილი ქალი და კინკრიხოზე აძევს პატარა ევროპიული შლიაპა, ცოტა არ არის დაჭმუჭნილი, და იძახის ხანდახან რაღაც მაიამ თვაიამ, ეთოშ-და რუსული ზედმიწევნით იცის. ამათ ვაგონში უსხედან შორი ახლო ორი ვაჟარი ქართული კაბებით და რუსულის ქუდებით და ერთი ეუბნება მეორეს: ვა! ბათუმში ვიყავი, პადოშვები კუპიტი ექენი და ის ოხერი, სულ დამპალგნილოთ გამოდგა: მეორე ეუბნება: „ვაზერატიტი რატომ არ უყავი, მიჩავიო სუდში ქალობას მიეცემდი და ისპოლნიტელნის ლისტით კარს მიავადგებოდი".—«პაპა, კაკოი პარუსკი ანი გავარით», ჰკითხავს გვერდ-შეჭყლეტილი შლიაპიანი ქალი ფაფანაკიან იმერელს...

როგორც ტანისამოსი, ისე ლაპარაკი და ხალხიც არეულ-დარეულია, ჩემო თადეოზ. ნეტავი შენ, რომ ესენი არაფერი გესმის.

შენი სფირიდონ ჩიტორელიძე

(დასასრული იქნება)

ახლად შემოღებული ცვლილება ძველ პროგრამმასთან ვერ არის კიდევ შეთანხმებული, შემდეგ-კი იმის შესახებაც მოილაპარაკებს, თუ რა წესითა და რიგით დააწესონ გიმნასტიკის სწავლება საშუალო სასწავლებლებში.

— „Нов. Вр.“-ში მოთხრობილია შემდეგი ამბავი იმ ბუნიცკისა, რომელმაც სიმფეროპოლის ფოსტიდგან ამას წინად 76,000 მან. მოიპარა და რომელიც ეხლა უკვე დაპატიმრებულია. ამ ორის თვის წინად ვიღაც ახალგაზდა კაცს, გვარად პეროვსკის, დაუქირია სიმფეროპოლში, სადავამყოფოს ქუჩაზე ერთი ოთახი 9 მანათად თვეში, პეროვსკი ვაჭარს ირქმევდა თურმე და მთელს დღეს კარში ატარებდა. როცა ბუნიცკის ფული მოუტაცნია და წასულა, პეროვსკიც სწორედ იმ დღესვე გადაკარგულა სიმფეროპოლიდგან, მაგრამ ამ გარემოებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. უეცრად დეპეშა მოსულა ბელგრადიდგან, სახლი გასინჯეთ, სადაც პეროვსკი იდგაო. გასინჯეს და 3,000 მან. გაბათილებული ქაღალდის ფული იპოვნეს სხვენში, იქვე ეყარა გახეული ფოსტის პაკეტებიც, რომელშიაც ფული ყოფილიყო დაბეჭდილი. ბუნიცკის რომ ფული მოეტაცნა, გამოუცდელ მეეტლისთვის ეთქვა, აქ მომიცადე და მეც მალე მოვალო, თითონ ჩამჯდარა ფაიტონში და პეროვსკისკენ წასულა. ფაიტონი სახლამდის არ მიეყვანა, შორი ახლოს გაუჩერებინებია, თითონ-კი ჩუმად მისულა და გადამძვრალა ფანჯარიდგან პეროვსკის სახლში. ორი კვირის განმავლობაში, მინამ პოლიცია გაფაციცებით დაეძებდა, ბუნიცკი სხვენში იმალებოდა თურმე და საჭმელს და სასმელს პეროვსკი უზიდავდა. ორის კვირის შემდეგ, როცა ხმაურობა ცოტაოდნად მიმწყდარა, ბუნიცკი ბოლგრადში გაპარულა და აქ ხომ პოლიციამ დაპატიმრა. პირველად ფული ვერა ეპოვნათ-რა, მაგრამ შემდეგ ჯერ 17,000 მანეთი ეპოვნათ იმის ცოლის სახლში და მერე კიდე 57,000 მან. დანარჩენი 15,000 მანათი ბრალდებულს გაუფლანგია.

## წვრილი ამბები

ლონდონში ხელ-ახლად შეუდგნენ ისეთის ენის შემოღებას, რომლითაც მთელმა ქვეყანამ უნდა ილაპარაკოს, მხოლოდ ამ ჟამად უწინდელივით ძალად-კი არა სთხზავენ ახალს ენას, როგორც წინად ვოლაპუკს შემოღებას აპირებდნენ, არამედ ჰსურთ ლათინური ენა შეიმუშაონ ეხლანდელის დროის მოთხოვნილებისამებრ და ისე შექმნიან საქვეყნო ენად. ამ აზრით შესდგა კომიტეტი, რომელიც სხვა-და-სხვა ქვეყნის სწავლულთ იწვევს მონაწილეობის მისაღებად. საფრანგეთის სწავლული ლერუა ბოლიე უკვე ჩაეწერა ამ კომიტეტის წევრად.

— ამერიკელი მოცურავე დავით დალტონი დანამდვილებულა და ფიცრულის ცურვით ბულონიდგან ფოლკსტონამდე 23 საათსა და 27 წუთის განმავლობაში მისულა ე. ი. 420 ვერსი დაუსვენებლივ უცურავს. ერთი მატროსი ნავით მისდევდა თურმე და თვალს ადევნებდა. როცა დანიშნულს ადგილზე მისულა დალტონი, ისე დაქანცულა, რომ მკურნალების მოწვევა დასჭირებია შემწეობის აღმოსაჩენად. მატროსს უთქვამს, სულ ფიცრულით (ზურგით) იცურა რამდენისამე ვერსს გარდაო.

— რკინის ნალებზე იმითია ცუდი, რომ ცხენებს ფეხი უსხლტებათ ხოლმე. ამის გამო ბევრჯელა სცადეს სხვა-და-სხვა მასალისაგან ნალების გაკეთება მაგრამ ბევრი არა გამოვიდა რა. ამ ჟამად მოუგონიათ ქაღალდის ნალები, რომელიც მჭიდროდ ეკვრება თურმე ფეხზე, არცა სხლტება და არცარას წყალი აკლებს.

— ქალაქ დნეპროვში ამას წინად ერთი სასაცილო ამბავი მომხდარა; ძველთაგანვე ადათად არის თურმე დარჩენილი, ამ ქალაქში, რომ თუ ახლად დაქორწილებულმა ცოლ-ქმარმა ერთი წელიწადი და ერთი დღე ტკბილად იცხოვრეს და ერთმანეთზე უსიამოვნობა არა სთქვეს-რა, მაშინ სოფელმა უნდა ძღვნად მიართვას ერთი ბარკალი ღორის ლორი. აი სწორედ ამ ნაირი საჩუქარი მიუღიათ ეხლახან ცოლ-ქმარს გოებს. ხალხს ერილობა გაუმართავს ერთ კარავში ადგილობრივის მსაჯულის თავმჯდომარეობით და იქ უდღესასწაულნია ეს ამბავი. ახალგაზდა ქალებმა და ვაჟებმა ხელით აიტაცეს თურმე ცოლ-ქმარი გოი და ვაშა-ვაშას უძახოდნენ.

— ვინნეპეგში გარდაცვლილა ქალი როლანდი და ქალაქიდგან ძლიერ მოშორებით დაუმარხავთ. 16 წლის შემდეგ ქმარს მოუნდომებია გვამის გადმოტანა და სხვაგან დამარხვა. როცა ამოუთხრიათ საფლავი, უნახავთ, რომ ქალი შეუშლელი დებულა კუბოში, მხოლოდ სულ გაქვავებულა თურმე და 15 ფუთს იწონდა. ამ გაქვავებას იმ ნიადაგს სდებენ ბრალად, სადაც მიცვალებული ყოფილა დასაფლავებული.

— შამპანიის ვენახის პატრონები ძლიერ შეაშინა თურმე იმ ამბავმა, რომ ზოგიერთს ვენახში ფილოქსერა გამოჩნდა დონნონას მახლობლად. შამპანიის ღვინოების ყოველ წლიური შემოსავალი რამდენისამე ასს მილიონ ფრანკზე მეტია და ამიტომ მთავრობამ გაფაციცებით ჩაჰკიდა ხელი ამ საქმეს. აუარებელი წამალი და იარაღი გაჰგზავნა საწამლელად. ავადმყოფი ვაზები ასჩეხეს და დასწვეს, თვით ვენახის მიწებს სხვა-და-სხვა წამალი აპკურეს, რომ ძირიან ფესვიანად ამოაგდონ ფილოქსერა.

ამბობენ, რომ ისპანიის ახალგაზდა მეფე ძლიერ ანჩხლი და თვით ნებაა. ამას წინად ეკკლესიაში მღვდელი შეუჩერებია, როცა იგი ქადაგებას ამბობდა თურმე, და უთქვამს, მაგრე მაღლა ყვირილი საყდარში არ შეიძლებაო. სადილის დროს კამერგერს უთქვამს, ხელით არ ვარგა ჭამა, კოვზი იხმარეთო, მაგრამ მეფეს ჯიუტად უპასუხნია, „მეფე ვარ და ვჭამო“. განზრახვა აქვთ ეს დედისაგან განებიერებული მეფე უფრო სასტიკად აღზარდონ და მორჩილებას მიაჩვიონ.

## დეპეშა

17 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ ძლიერმა სამხრეთ-დასავლეთის ქარმა ტალღა წამოილო ზღვიდგან და ს ღამოს თერთმეტ საათზე მდინარე ნევასა და არხებში წყალმა იმატა ერთს საჟენზე. პეტერბურგის დაბალი ალაგები არხებად გადიქცა, სარდაფები წყლით აივსო; ცხენებით მისვლა-მოსვლა, განსაკუთრებით კუნძულებზე, შეუძლებელი შეიქმნა. წყალმა ნახევარ საჟენამდე დაიკლო.

სტამბოლელი ელჩი ნელიდოვი სტამბოლში წავიდა. ბუხარესტის ელჩი ხიტროვო პეტერბურგს მოვიდა.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრი აპირობს მოგზაურობას სამხრეთში, ეკატერინოსლავსა, ხერსონისა და სხვა სამეურნეო გამოფენათა დასათვალიერებლად.

პეტერბურგის გუბერნიის 12 სამამასახლისოში დაუდგენიათ განაჩენები, ჯარიმა გადაეხდევინოთ ლოთობისთვის და ამ გვარად შეგროვილი ფული სამრეწველო სკოლებს მოეხმაროთო.

პროპოისკი. (მოგილევის გუბერნია). მთელი სოფელი ცეცხლისაგან გადიბუგა.

18 აგვისტო

სოფია. პანიცას ქვრივმა უარი თქვა და პენსია არ მიიღო პრინცე კობურგელისაგან.

სტამბოლი. სომეხთა აღელვების გამო დიდის ვეზირის ქიამილ ფაშის საქმე ცუდს მდგომარეობაშია, ამბობენ, რომ იმის მოადგილედ გარეშე საქმეთა მინისტრი საიდ-ფაშა დაინიშნებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 აგვისტო.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 60 |
| სტამოყნის კუპონები | — „ | „ | 132¹/₄ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 11 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 228¹/₂ | — „ | — „ |
| — მეორისა | 218 | — „ | — „ |
| — მესამისა | — „ | — „ | 213³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | 100, 37 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 100 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,
შედგენილი
მოსე ჯანაშვილის მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ
შეიძინა
ჟურნალ „ნობათი“-ს
ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», — სულ თერთმეტი წიგნი ღირს
2 მან.
ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში
მიღებულია დასხეულებულ ვაზების საქმოდ:
# ვერმორელის აპარატები
და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.
ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.
„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმიოდ“.
სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა
ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.
ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.
(50—34)




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი
გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა
ბერლინში
და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული
ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,
მიხეილის ქუჩაზედ, № 117.
# ფოლადის გუთნები
ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.
სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).
მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.
ინგლისური საწიავებელი, გორვეღლის გამომრჩევი და სხვანი.
სამკალი მაშინა.
სათიბი მაშინა
ფოცხები, სათესი მაშინები, სარცხი და სხვანი.
რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—50)

ყმაწვილი კაცი ეძებს გაკვეთილებს
და
ზომიერ ფასად
შეგირდებს ამზადებს გიმნაზიისა, რეალურ და საიუნკრო სასწავლებლისა და ინსტიტუტის ყოველ კლასში შესასვლელად. ჰკისრულობს აგრეთვე რეპეტიტორობასაც. მსურველს ქართულის ენის გაკვეთილებსაც აძლევს. ადრესი იკითხეთ «ივერიის» რედაქციაში. (5—4)

კერძო ექიმი
# პრეობრაჟენსკი
არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.
ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.
ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—3)

Доз. ценз Тифлисъ, 18-го Августа 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Меликъ, д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავა